პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

ხელისმოწერა და ფასი
და გაცემას სწარმოებს საქართველოს ცენტრალური ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

№ 211 სამშაბათი, 15 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 15 ნოემბერი, 1921 წ. № 211

15 ნოემბერი
სამშაბათი

1919. დამარცხებული იუდენიჩის ბანდების მეორე შეტევა პეტლიურაზე.
1917, გამოქვეყნებულია ხალხთა უფლების დეკლარაცია.

დღიური

საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პოლონეთში ახალი ნოტით მიმართა პოლონეთის მთავრობას და აღნიშნა, რომ პოლიტიკური პოლიციის აგენტები კიდევ ცდილობენ და იჭერენ კავშირს რუსეთის საელჩოსთან პროვოკაციის მოსაწყობათ.

საფრანგეთის სეპარატიულ ხელშეკრულების გამო ოსმალეთთან. ინგლისსა და საფრანგეთ შორის მდგომარეობა თანდათან მწვავდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

აცნობებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ კომუნისტურ პარტიის პირველი ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო 1 დეკემბერს გადატანილია 25 დეკემბრისათვის.

ცეკას მდივანი: ოკუჯავა.
ორგან. განყ. გამგის მოვ. დანენკო.

მუშათა ფაკულტეტი

ცოდნა, როცა ის ედება ხალხის მასსებს, მატერიალურ ძალათ იქცევაო, სთქვა პროლეტარიატის მასწავლებელმა კ. მარქსმა.

მეცნიერების და მუშების კავშირი გასრესს ბურჟუაზიის ბატონობასო, ქადაგებდა პროლეტარიატის მეორე მასწავლებელი ფ. ლასსალი.

ცოდნის ძალათ ქცევა და შრომა-მეცნიერების ცხოველმყოფელი კავშირი იქმნება და ხორციელდება მშრომელთა დიქტატურის ქვეყნებში, საბჭოთა რესპუბლიკებში. პოლიტიკურათ გაბატონებული პროლეტარიატი ეპატრონება და ხმარებას სწავლულობს ყველა იმ იარაღისას, რომლითაც ბურჟუაზია სჩაგრავდა მშრომელთ. პროლეტარიატმა შეისწავლა სახელმწიფოს მართვა, ის გახდა პოლიტიკოსი.

პროლეტარიატმა შეისწავლა იარაღის ხმარება და წითელი კომანდირის სახით ის წარმატებით ეომება ბურჟუაზიის ჯარს.

პროლეტარიატმა გაიგო ტექნიკის საიდუმლოებათ, და სამეურნეო ფრონტზე ხელმძღვანელის როლშიც გამოდის ბურჟუაზიულ სპეციალისტების გვერდით. პროლეტარიატი ხელს იშვერს ცოდნის და მეცნიერების მაღალ მწვერვალისაკენ და სურს დაეწაფოს ამ მეცნიერების წყაროს.

თუ წინეთ მეცნიერების ოლიმპზე ასვლა შეეძლო მხოლოდ მდიდრების, გაბატონებული კლასების შვილებს, რათა მეცნიერების იარაღით შემდეგ შებრძოლებოდენ ამომავალ, მშრომელთა კლასს, დღეს პროლეტარიატი ისწრაფვის ამ ოლიმპის დაპყრობისაკენ, რათა ბურჟუაზიის მიერ გამოჭედილი იარაღი მოიმარჯვოს ხელში, სამუდამოდ სულიერათ და ხასიათით გამარჯვება დაუმკვიდროს შრომას.

სად, რომელ ქვეყანაში, თუ გინდ უაღრესათ დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაგონილა მუშების და ჯარისკაცების ფაკულტეტები და უნივერსიტეტები?

ყველგან მუშის სარბიელი შემოფარგლულია ფაბრიკის კედლებით, ჯარისკაცი შედენილია ყაზარმებში. საბჭოთა რესპუბლიკაში კი მშრომელთ გზა ხსნილი აქვთ მეცნიერებისაკენ, უნივერსიტეტებისაკენ.

საბჭოთა საქართველოს დედა ქალაქში, თბილისში მრავალ პარტიულ და სპეციალურ სკოლების გარდა არსებობს წითელ არმიელთა უნივერსიტეტი სამი ფაკულტეტით. 13 ნოემბერს გაიხსნა მუშათა ფაკულტეტიც სახელმწიფო პოლიტეხნიკუმთან.

განა ეს ჩვენი ცხოვრების ძირითადი გარდატეხა არ არის? განა ეს ისტორიაში გაუგონარი რამ მოვლენა არ არის?

საბჭოთა საქართველოში აღორძინებას იწყებს წითელი სტუდენტობა, მუშათა კლასის საშუალოდან გამოსული. ბევრი დაბრკოლება გადაეღობება წინ ამ ახალ ყლორტს მუშათა დიქტატურისას, მაგრამ ხელმძღვანელთა ენერგია, თვით კურსანტების ხალისი და აღფრთოვანება, და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობა ყოველგვარ დასახმარებლად თავდებია იმის, რომ ეს ყლორტი გაიფურჩქნება, ძალას მოიკრებს და დიქტატურის ძლიერ შტოთ იქცევა.

წითელი სტუდენტობა წარმოშობს მომავალში წითელ პროფესორებსაც. ცოდნა შეძენილი მშრომელი, მეცნიერებასთან დაკავშირებული პროლეტარიატი უძლეველი გახდება.

მაშ გაუმარჯოს წითელი სტუდენტობის პირველ წყებას! გაუმარჯოს შრომის და მეცნიერების განუყრელ კავშირს!

მომავალი პარტიული ყრილობა და მისი მნიშვნელობა

გაზეთებში გამოცხადებულის ჩვენი პარტიის პირველი ლეგალური ყრილობის მოწვევა პირველ დეკემბერს. სხვა და სხვა ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო ყრილობა გადადებულია 25 დეკემბრისათვის. ამგვარათ ყრილობა, რომელსაც ამოდენა ხანია ასე მოუთმენლათ ელოდებოდა ჩვენი პარტია, ახლო მომავალში შესდგება. თავისთავათ იგულისხმება, რომ არ კმარა მარტო ლოდინი, არამედ საჭიროა ყრილობისათვის მომზადება, საჭიროა ყველა გასარჩევ კითხვების გულდასმით განხილვა სამაზრო და სარაიონო კრებებზე ან კონფერენციებზე, რათა ყრილობის მუშაობა უფრო ნაყოფიერი გამოდგეს.

მეტია იმაზე ლაპარაკი თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა დაურჩეს მომავალ პარტიულ ყრილობას მთელ ჩვენ ცხოვრებაში, როგორც წმინდა პარტიული მხრივ, ისე საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების მხრივაც. ამ ცხრა თვის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენ ვმუშაობდით, რამდენათაც ძალა და ღონე შეგვწევდა, მაგრამ არავისთვის დასამალავი არ უნდა იყოს, რომ ეს მუშაობა დამაკმაყოფილებელი არაა და ვერც იქნებოდა, რადგანაც ჩვენ მეტათ ბევრი დაბრკოლებები და სიძნელენი გვეღობებოდენ წ. ნ. ჩვენ მუშაობას ბევრი რამ აკლდა,—და აკლდა სწორედ გარკვეულობა და სისწორე. ჩვენ გვქონდა წინ რუსეთის კომმუნისტური პარტიის შესაჩნევი გაკვეთილი, ჩვენ გვქონდა წინ საბჭოთა რუსეთის დიდი გამოცდილება და პრაქტიკა, და მასთან ჩვენ გვქონდა ჩვენი უდიდესი მასწავლებლის—ამხ. ლენინის—საკუთარი რჩევა-დარიგებანი, კერძოთ ჩვენდამი მომართულნი. მაგრამ შევსძელით კი ყველა ამის ჯეროვანათ გამოყენება? საწუხაროთ უნდა ვაღიაროთ, რომ ვერ შევსძელით.

ჩვენ არ გვქონდა განსაზღვრული და მტკიცე ტაქტიკა, ჩვენ ვცხოვრობდით ერთი შემთხვევიდან მეორე შემთხვევამდე; გარდა ამისა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს შორის არ იყო სრული კონტაქტი, შეთანხმებით მოქმედება. ყველა ეს ცოდვები თუ შეცდომები ჩვენ უნდა ვაღიაროთ აქ გულწრფელათ და პირდაპირ. პარტიული მასსა, პარტიული ორგანოები მაზრებში და რაიონებში ერთი მხრით და პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანო—ცენტრალური კომიტეტი—მეორე მხრით ერთი ერთმანეთისაგან დაშორებული იყვნენ არა მარტო მანძილით, არამედ მჭიდრო იდეიური კავშირის უქონლობის გამო. რუსეთში ყოველ წლივ პარტიულ ყრილობის გარდა ხდება აგრეთვე ფართო პარტიული კონფერენციები ორჯერ, გარდა იმისა, რომ ძლიერ ხშირათ თითოეულ ქალაქში, განსაკუთრებით კი პეტროგრადსა და მოსკოვში იწვევენ პარტიულ და საბჭოთა ხელისუფლების პასუხისმგებელ ამხანაგების კრებებს, რომლებზედაც არჩევენ და არკვევენ თითქმის ყველა საყურადღებო კითხვებს. არაფერ ამის მსგავსს ჩვენში დღემდის ადგილი არ ქონებია. ამიტომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები საერთოთ მოწყვეტილი შეიქნენ პარტიის ცენტრისაგან ერთი მხრით და გათიშული ერთი ერთმანეთისაგან მეორე მხრით. მთელი ცხრა თვის განმავლობაში პარტია აწარმოებდა დიდ და მეტათ საპასუხისმგებლო მუშაობას,—მუშაობას პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მოსაწყობათ და განსამტკიცებლათ. მაგრამ პარტია დღემდის ვერ ახერხებდა თავი მოეყარა ყველა ამ მუშაობისთვის, გამოეყვანა ამ მუშაობის ჯამი, დაეფასებინა და აეწონ-დაეწონა ის, ეჩვენებინა მისი უარყოფითი და დადებითი მხარეები, შემცდარი და სწორი ნაბიჯები.

ყველა ამის შედეგი იყო ის, რომ პარტია დროზე ვერ ეგუებოდა ადგილის ცხოვრების მოთხოვნებს, და მაშასადამე, ვერ უწევდა და არც შეიძლებოდა შესაფერი ანგარიში გაეწია ამ მოთხოვნებისთვის. იმავე დროს კი პარტიული ორგანიზაციები იღებდენ დირექტივებს, რომლებიც საერთო მდგომარეობის სირთულის გამო უფრო ხშირათ შეხამებული არ იყვნენ ცხოვრების მოთხოვნებთან და ვერც ანგარიშს უწევდენ მათ.

ამგვარათ მომავალმა ყრილობამ უწინარეს ყოვლისა ჯამი უნდა გაუკეთოს ამ ცხრა თვის ნამოქმედარს, უნდა დააფასოს და აწონ-დაწონოს მთელი ამ მუშაობის უარყოფითი და დადებითი მხარეები, ყველა შეცდომები და გაკეთებული საქმეები. აქ საჭიროა დიდი სიფრთხილე და სისწორე. ეს წარმოადგენს ყრილობის მუშაობის ერთ მხარეს, რა თქმა უნდა ძლიერ საინტერესოს, მაგრამ არა ყველაზე უფრო საყურადღებოს. ყრილობის წინაშე წამოჭრილია სხვა ბევრათ უფრო საყურადღებო და იმავე დროს მეტათ მძიმე ამოცანები, რომელთა დაუყოვნებლივ და სწორე გადაჭრას თხოულობენ როგორც კომუნისტური პარტიის, ისე საბჭოთა ხელისუფლების წარმატების ინტერესები.

ეს ამოცანები შეიძლება ჩვენ გავყოთ ორ ნაწილათ: ერთი ნაწილი პოლიტიკური ხასიათისაა, მეორე ნაწილი კი შეეხება საორგანიზაციო და სააღმშენებლო საკითხებს. ყველა ამ დარგში ყრილობამ უნდა მოგვცეს ნათელი და გარკვეული დირექტივები ერთი მხრივ და მიგვითითოს პრაქტიკულ საშუალებებზე იმათი განსახორციელებლათ მეორე მხრით.

პოლიტიკურ ამოცანათა შორის პირველ რიგზე დგას საკითხი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობაზე. რა თქმა უნდა, ზოგადათ ეს საკითხი უკვე გარკვეულია; ესაა მჭიდრო და მტკიცე ურთიერთობის კავშირი და ნამდვილი ერთობა. მაგრამ აქ ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ უდიდესი ტაქტი და სიფრთხილე, რათა საბოლოოთ მოსპობილ იქნას ყოველივე ნაშთი ეროვნული მტრობისა, სიძულვარობისა, მიუკარებლობისა და სხვ., რასაც ხალხის მტრები საუკუნოების განმავლობაში აღვივებდენ მშრომელთა შორის. ჩვენ გვმართებს აქ შესაფერი სიდინჯე და აუჩქარებლობა, ნაკლები გატაცება ზოგადი ლამაზი ფრაზებით მეტი დაკვირვება და ანგარიშის გაწევა შექმნილ პირობებისათვის. ბევრს გონია, რომ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც დიქტატურა მშრომელთა მასსებისა, მარტოოდენ გარეგნ ფორმებში გამოიხატება და ამიტომ იმათ ეჩვენებათ ამ გარეგნობით რამდენიმეთ გატაცება და იმავე დროს საბჭოთა ხელისუფლების მთავარი შინაარსის მეორე რიგზე დაყენება.

მე არ მინდა ამ საყურადღებო საკითხს უფრო დაწვრილებით შევეხო აქ, ყოველ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ნათქვამიდანაც ამხანაგები გაიგებენ, თუ რას უნდა მიაქცეს მომავალში ყურადღება ამ ფრიად საყურადღებო კითხვის შესახებ, მაგრამ ეს დირექტივები უთუოდ უნდა დარჩენ ნათელი და გარკვეული. შაბლონურ ან მყვირალა ფრაზებს ადგილი აღარ უნდა დაურჩეს.

ჩვენ ვიცით, რომ ამ საკითხთან შეკავშირებულია და მისგან გამომდინარეობს სხვა მრავალი საკითხები, ღირსნი არა ნაკლები ყურადღებისა, მაგრამ ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა გამოვარკვიოთ ჩვენი პოლიტიკის მთავარი ხაზი, ამაზე იქნება დამოკიდებული დანარჩენ კითხვების ბედიც.

ამ მთავარ საკითხს მოსდევს მეორე უაღრესად საყურადღებო საკითხი—ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. ამ დარგშიაც სამეცნიეროთ ჩვენ გვაქვს ოთხი წლის მდიდარი და საგულისხმიერო გამოცდილება საბჭოთა რუსეთში და უფრო მცირე გამოცდილება ჩვენში. დღევანდელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა ბევრისთვის მოულოდნელი შეიქნა, ამიტომ მას მეტათ ძნელათ ვითვისებთ. ბევრი ფიქრობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით პირდაპირ კომუნიზმის ხანა დაიწყო რუსეთში. რა თქმა უნდა, ასეთ ფიქრს ერთნაირი გასამართლებელი მიზეზი ქონდა, ამას არავინ არ მალავს; მაგრამ სამწუხაროთ ჩვენ დავივიწყეთ ის, რასაც ამბობდენ და რაზედაც სწერდენ ჩვენი საუკეთესო ამხანაგები, და განსაკუთრებით ამხ. ლენინი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში. არავის შეეძლო მაშინ ეფიქრა კომუნიზმის განხორციელებაზე მყისვე ჩამორჩენილ წვრილ-ბურჟუაზიულ გლეხურ რუსეთში. კითხვა იდგა კონტრ რევოლიუციონური ბურჟუაზიის დამარცხებაზე ერთი მხრით, და პროლეტარულ რევოლიუციის დაჩქარებაზე ევროპაში მეორე მხრით. „სამხედრო კომუნიზმის" მეოხებით რუსეთის პროლეტარიატმა და ულარიბესმა გლეხობამ ძლია რუსეთის კონტრ რევოლიუციონურ და მჩაგვრელ კლასებს, დაამარცხა ისინი სამოქალაქო ომში, მაგრამ მსოფლიო პროლეტარულმა რევოლიუციამ, რომლის მოლოდინში მაშინ ჩვენ ვიმყოფებოდით, ცოტა არ იყოს დაიგვიანა. და ამ დროს გამოირკვა, რომ უშუალოთ კაპიტალიზმიდან კომმუნიზმზე გადასვლა რუსეთში შეუძლებელია, რომ ეს გადასვლა შესაძლებელია განხორციელდეს აქ სახელმწიფო კაპიტალიზმის გზით. ოთხი წლის გამოცდილებამ მოგვცა იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში, თუ ვინიცობაა, პროლეტარულმა რევოლიუციამ ევროპაში კიდევ დაიგვიანა, რუსეთის პროლეტარიატი მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალიზმის განვითარების გზით მიაღწევს კომუნიზმს. მაგრამ სახელმწიფო კაპიტალიზმი გულისხმობს კერძო ვაჭრობის უფლებას ერთი მხრით და კერძო კაპიტალის განვითარებას მეორე მხრით.

ეს გარემოება კი შეადგენს დიდ საშიშროებას და საფრთხეს თვით პროლეტარიატის დიქტატურისათვის, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ჩვენ ოდნავათაც არ ვმალავთ ამ საშიშროებას და საფრთხეს. საკითხი ასე დგას: ვინ ვის ჩაყლაპავს და მოინელებს? საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს კაპიტალიზმის მონელებას და მის გარდაქმნას კომუნისტურ წარმოებათ, თუ, პირიქით, კაპიტალიზმი პროლეტარიატის დიქტატურის ცდაში მოინელებს საბჭოთა ხელისუფლებასაც და პროლეტარულ რევოლიუციასაც და კიდევ ერთხელ იდღესასწაულებს თავის გამარჯვებას მუშათა კლასზე? ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ ასე: საბჭოთა ხელისუფლების დღევანდელი ეკონომიური პოლიტიკა ახალი ეტაპია პროლეტარიატის დიდ ბრძოლაში კომუნისტური წარმოების დასამყარებლათ, ამასთან პროლეტარიატს უხდება ბრძოლა შედარებით ბევრათ უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვინემ ბურჟუაზიას, რადგანაც პროლეტარიატს უპირავს თავის ხელში არა მარტო სახელმწიფო ძალაუფლება, არამედ სახელმწიფოს ცხოვრების მთავარი ბერკეტი, ე. ი. მსხვილი მრეწველობა, რკინის გზები, მადაროები, სახალხო ბანკი და სხვ. ასეთ პირობებში პროლეტარიატს არ შეუძლია არ გაიმარჯვოს, ე. ი. არ ჩაყლაპოს კერძო კაპიტალი და არ გარდაქმნას ეს უკანასკნელი როგორც შუამდგომელი და გამოსადეგი საშუალება კომუნიზმზე გადასასვლელათ.

ამ გვარათ სახელმწიფო კაპიტალიზმის განვითარებაში პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის დროს პარტია ხედავს დღეს ერთად ერთი გამოსავალს იმ ეკონომიური დაშლა-დარღვევისაგან, რომელსაც დღეს საბჭოთა რესპუბლიკები განიცდიან, და პარტიულმა ყრილობამ ამის თაობაზე უნდა გამოიტანოს თავისი ავტორიტეტული გადაწყვეტილებანი.

მესამე რიგზე დგანან კითხვები საბჭოების ორგანიზაციაზე და ჩვენ დამოკიდებულებაზე სხვა და სხვა პარტიებთან. პირველი საკითხის შესახებ შეიძლება მსჯელობა მხოლოდ იმ მხრით, თუ რამდენადაა ჩვენში ამისთვის მოსახერხებელი ნიადაგი ერთი მხრით და არჩევნებისათვის ხელსაყრელ დროის შერჩევა. ყრილობამ უნდა სთქვას ამის შესახებ თავისი გადამწყვეტი სიტყვა. ამ საკითხთან დაკავშირებულია ჩვენი დამოკიდებულება საქართველოში არსებულ პარტიებთან (მემარცხენე და მემარჯვენე ესერებთან, მემარჯვენე და მემარცხენე სოც. ფედერალისტებთან, მენშევიკებთან და ნაციონალ-დემოკრატებთან), რამდენადაც ეს პარტიები მუშაობენ, სულ ერთია ლეგალურად, თუ არა-ლეგალურად. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხშიაც დღემდის ვერაა საკმარისი გარკვეულობა და სიცხადე.

ამიტომ აქაც პარტიულმა ყრილობამ უნდა შეიტანოს ეს გარკვეულობა და სინათლე.

შემდეგ, მეოთხე ადგილზე დგას საკითხი პარტიის ცენტრალური ორგანოს—ცენტრალური კომიტეტის—როლზე, მის ავტორიტეტზე. არავისთვის დასამალავი არ არის ის გარემოება, რომ დღემდის არსებული ცეკა კოჭლობდა, რომ მას არ ჰქონდა შესაფერი ავტორიტეტი და გავლენა. თავის-თავად იგულისხმება, რომ ესაა არა-ნორმალური მდგომარეობა, და პარტიულმა ყრილობამ უნდა სცნოს ეს ანომალიურად, მას ბოლო უნდა მოუღოს. ყრილობამ უნდა შექმნას ნამდვილი ავტორიტეტული ცენტრ. კომიტეტი.

გარდა ამისა ყრილობამ უნდა დაჰყენოს და გადაჭრას დღევანდელი პრაქტიკული ამოცანები, როგორიცაა წითელი არმიის შექმნა, საადგილმამულო პოლიტიკა და სასოფლო მეურნეობის გაძლიერება, სოციალისტური მრეწველობა, ტრანსპორტი, სასურსათო გადასახადი, ადგილობრივ (პროვინციაში) მუშაკების უზრუნველყოფა სურსათით, ტან და ფეხსაცმელით, ადგილობრივ ხარჯების ადგილობრივ შემოსავლით დაფარვა და სხვ. და სხვ. ბევრს ყველა ეს საკითხები შესაძლებელია წვრილმანებათ ეჩვენოს და ყრილობისთვის ზედმეტათ. მაგრამ ეს დიდი შეცდომა იქნებოდა. თითოეულ იმათგანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის. ავიღოთ, მაგ., თუ გნებავთ მხოლოდ ერთი ამ საკითხთაგანი—საბჭოთა ხელისუფლების და პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლების და მუშაკების მდგომარეობა დღეს სოფლად. ქალაქებში ჩვენ რამდენიმეთ კიდევ ვუწევთ მათ მზრუნველობას, მაგრამ აბა დააკვირდით, თუ რა უმწეო მდგომარეობაში არიან ისინი პროვინციებში. დიდი ნაწილი იმათი გარბის, ზოგი ბოროტმოქმედობს, ხოლოდ მცირე ნაწილი უძლებს ჯერ ყოველგვარ გასაჭირს, ისინი განიცდიან სიმშილს და სიცივეს, და ყრილობას არ შეუძლია არ მიაქციოს ამას ყურადღება და არ გამონახოს რაიმე ზომები იმათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ რამდენიმეთ მაინც. შეუძლებელია აქ ყველა საკითხებს შევეხოთ. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ იმას, რომ მომავალ პარტიულ ყრილობას მეტათ ბევრი საყურადღებო კითხვების განხილვა მოუხდება. და ეს სრულებით გასაკვირალი არაა. მხოლოდ შესძლებს თუ არა ყრილობა ყველა ამ კითხვებს ანგარიში გაუწიოს და შესაფერი დადგენილებები გამოიტანოს?

ჩვენ ვამბობთ, რომ შესძლებს, თუ ყრილობის წინ სამაზრო და რაიონული კონფერენციებზე წინასწარ სამუშაოს შეასრულებს და დელეგატებიც თვით ყრილობაზე მომზადებულნი მოვლენ. მომავალ ყრილობაზე ყველანი დიდ იმედებს ამყარებენ. ვისურვებთ, რომ ეს იმედები გამართლებულ იქნას. ყრილობის საყოფიერო მუშაობის თავდები ის გარემოებაცაა, რომ ამ ყრილობაზე ჩვენი პარტია წარსდგება გაწმენდილი და გამოცოცხლებული იმ უცხო ელემენტებისაგან, რომლებმაც ჩვენ პარტიაში თავი შეაფარეს და ბევრი ჩირქი სცხეს.

არ შეგვიძლია კიდევ ერთხელ არ აღვნიშნოთ აქ, რომ პარტიის გაწმენდა მეტად დიდი მოვლენაა ჩვენ ცხოვრებაში. ეს გარემოება გააადვილებს მომავალ ყრილობას პარტიაში სიმტკიცის, ერთსულოვანების და აღფრთოვანების გამოწვევას; ის ხელს შეუწყობს მტკიცე და ძლიერი პარტიული დისციპლინის შექმნას და მის ცხოვრებაში გატარებას.

ახლა კი, პარტიული ყრილობის მოლოდინში როგორც ორგანიზაციებმა, ისე ცალკე წევრებმაც უნდა გააძლიერონ, გამოაცოცხლონ თავისი მუშაობა, როგორც წმინდა პარტიული, ისე სახელმწიფოებრივი, რათა ყრილობაზე უფრო გულდამშვიდებით და უფრო მეტი რწმენით წარსდგნენ.

ფ. მახარაძე.

ამხ. ლენინის სიტყვა

წარმოთქმული პოლიტგანათლების განყოფილებათა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე

(გაგრძელება იხ. „კომუნისტი № 209)

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ნიშნავს გაწერის შეცვლას გადასახადით, ნიშნავს კაპიტალიზმის საგრძნობ ზომამდე აღდგენისაკენ გადასვლას. რა ზომამდე—ეს ჩვენ არ ვიცით. მართალია კონცესიები საზღვარგარეთელ კაპიტალისტებთან ჯერ კიდევ ცოტა არის შეკრული, განსაკუთრებით იმ წინადადებებთან შედარებით, რომლებიც ჩვენ გვაქვს გაცემული; კერძო კაპიტალისტების იჯარა—სწორეთ ეს არის კაპიტალიზმის პირდაპირი აღდგენა და ეს ძირიან-საფუძვლიანათ დაკავშირებულია ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან, რადგანაც განაწილების მოსპობა გლეხებისათვის ნიშნავს სასოფლო-სამეურნეო საგნებისა და სანოვაგის მონარჩენით თავისუფალ ვაჭრობას, რომლებიც არის ჩამორთმეული გადასახადით, გადასახადი კი ღებულობს მხოლოდ მცირე ნაწილს სანოვაგისას. გლეხობა შეადგენს გიგანტურ ნაწილს მთელი მოსახლეობის და ეკონომიკისა და ამიტომ ამ თავისუფალ ვაჭრობის ნიადაგზე კაპიტალიზმს არ შეუძლია არ გაიზარდოს.

ეს—აი ძირითადი ეკონომიური ანბანია, რომელიც ისწავლება ეკონომიური მეცნიერების დასაწყისშივე, ჩვენთან კი ამას გარდა, ისწავლება ყველა „მეტომრის" საშუალებით, იმ მასების საშუალებით, რომელიც ძლიერ კარგად გვაცნობს ჩვენ ეკონომიკას, პოლიტიკას და ეკონომიური მეცნიერების შეუსწავლელათაც. ძირითადი კითხვა, სტრატეგიის თვალსაზრისით მდგომარეობს იმაში, თუ ვინ უფრო ჩქარა ისარგებლებს ამ ახალი მდგომარეობით? მთელი კითხვა იმაშია, თუ ვის წაჰყვება გლეხობა—პროლეტარიატს, რომელიც ცდილობს სოციალისტური საზოგადოების შექმნას, თუ კაპიტალისტებს, რომლებიც ლაპარაკობენ: „მოვაბრუნოთ უკან, იქით უფრო უზრუნველყოფაა, თორემ მიიგონებენ კიდევ რაღაც სოციალიზმს".

აი რაში გამოიხატება მთელი ახლანდელი ბრძოლა: ვინ გაიმარჯვებს, ვინ უფრო ჩქარა ისარგებლებს—კაპიტალისტი, რომელსაც ჩვენ ვუშვებთ შიგნით კარში, ან და მრავალ კარებში, რომელთაც ჩვენ თვითონ არა ვიცნობთ და რომელნიც გამოგვეცხადენ ჩვენდა უნებლიეთ და ჩვენს წინააღმდეგ თუ პროლეტარული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. რას შეუძლია დაეყრდნოს ის ეკონომიურათ? ერთის მხრივ, მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მხრივ უნდა მოვიგონოთ გლეხები. სრულებით უდავოა და ყველასათვის თვალსაჩინო, რომ მიუხედავათ ისეთ დიდი უბედურებისა, როგორიცაა შიმშილი, მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესება, ამ უბედურების გამოკლებით, მოხერხდა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის შეცვლის გამო.

მეორეს მხრივ, თუ მოიგებს კაპიტალიზმი—გაიზრდება სამრეწველო წარმოებაც, ამასთანავე ერთად კი გაიზრდება პროლეტარიატიც. კაპიტალისტები მოიგებენ ჩვენი პოლიტიკით და შექმნიან სამრეწველო პროლეტარიატს, რომელიც ჩვენში, ომისა და საშინელ ნგრევის მეოხებით გადაგვარდა, ამოვარდა კლასობრივი კალაპოტიდან, შეწყვიტა არსებობა როგორც პროლეტარიატმა. პროლეტარიატი ეწოდება იმ კლასს, რომელიც ქმნის სხვა და სხვა მატერიალურ დოვლათებს მსხვილ კაპიტალისტურ მრეწველობის წარმოებებში და დაწესებულებებში. რამდენათაც დანგრეულია მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა, იმდენათ ფაბრიკები და ქარხნები შეჩერებულია, პროლეტარიატი გამქრალია. ის ფორმალურათ ირიცხებოდა, მაგრამ ის არ იყო შეკავშირებული ეკონომიური საფუძვლით.

თუ კაპიტალიზმი აღდგება, მაშასადამე აღდგება პროლეტარიატის კლასიც, რომელიც ქმნის მატერიალურ დოვლათებს, საზოგადოებისათვის სასარგებლოს, რომელიც მუშაობს მსხვილ სამანქანო ფაბრიკებში და არა სპეკულიაციას აწარმოებს, არა ცეცხლის ამნთებებს აკეთებს გასასყიდლად და სხვა ამგვარ „მუშაობას" ეწევა, რომელიც მაინცა და მაინც საჭირო არაა, მაგრამ აუცილებელია ჩვენი მრეწველობის ნგრევის მდგომარეობაში.

მთელი კითხვა იმაშია, თუ ვინ ვის გაასწრებს? მოასწრებენ თუ არა კაპიტალისტები უფრო ადრე ორგანიზაციულათ შეკავშირებას — მაშინ ისინი კომუნისტებს გარეკენ და შემდგომ ამისა არარავითარი ლაპარაკი შესაძლებელი აღარ იქნება. ამ მდგომარეობას ფხიზლათ უნდა ვუყუროთ: ვინ ვის? ან პროლეტარული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება გამოიჩენს ბ-ნ კაპიტალისტების შესაფერისი ალვირით დაჭერის უნარს, გლეხობაზე დაყრდნობით, რომ კაპიტალიზმს მიეცეს სახელმწიფოს საჭიროების მიმართულება და შექნას კაპიტალიზმი, სახელმწიფოს დაქვემდებარებული და სასარგებლო? ამ კითხვის დასმა ფხიზლათ არის საჭირო. აქ ყოველგვარი იდეოლოგია, ყოველგვარი მსჯელობანი პოლიტიკურ თავისუფლებათა შესახებ, არიან მსჯელობანი, რომლებიც ხშირია განსაკუთრებით თუ შევხედავთ საზღვარგარეთელ რუსეთს, რუსეთს № მეორეს, სადაც მოიპოება ყოველდღიური და ყველა პოლიტიკური პარტიების გაზეთთა ათეულები, სადაც ეს თავისუფლებანი იმღერება ყველა მუსიკალურ ნოტებზე და ხმებზე, რომელნიც კი არსებობენ ბუნებაში. ყველაფერი ეს ყბედობაა, ფრაზებია. ამ ფრაზების ყურის ავლება უნდა ვიცოდეთ.

ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ გადავიტანეთ მრავალი სერიოზული ბრძოლა და ვისწავლეთ, რომ ერთი საქმეა—სერიოზული ბრძოლა და მეორე საქმეა—ყბედობა, რომელიც მიმდინარეობს სერიოზული ბრძოლის გამო და გამომდინარეობს განსაკუთრებით იმ პირებისაგან, რომელნიც გვერდზე სხედან და იქიდან უცქერიან სეირს. საჭიროა ყველა ამ იდეოლოგიაზე და ყბედობაზე ყურის ავლების ცოდნა და საჭიროა შევხედოთ საქმის ნამდვილ ვითარებას. საქმის ნამდვილი ვითარება კი ისეთია, რომ არის და იქნება კიდევ ბრძოლა უფრო თავგანწირული და უფრო მკაცრი, ვიდრე ის იყო დენიკინისა და კოლჩაკის წინააღმდეგ. ეს იმიტომ, რომ ის იყო სამხედრო ბრძოლა, ბრძოლა ჩვეულებრივი. ასი და ათასი წლობით ომობდენ ყოველთვის. ადამიანთა გაჟლეტის ხელოვნებაში ომების დროს დიდი წარმატებაა გამოჩენილი.

მართალია, რომ თითქმის ყველა მემამულეების შტაბებში იყვნენ ესერები და მენშევიკები, რომელნიც ჰყვიროდენ ხალხთა უფლებებზე, დამფუძნებელ კრებაზე და იმაზე, რომ ბოლშევიკებმა დაარღვია ყველა თავისუფლებანი.

სამხედრო ამოცანის გადაჭრა მაინც უფრო ადვილია, ვიდრე იმისი, რომელიც ამჟამად სდგას ჩვენს წინაშე, სამხედრო ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება დატაკებით, პირდაპირი დაფრენით, ენტუზიაზმით, პირდაპირი ფიზიკური ძალით იმ მრავალრიცხოვან მუშებისა და გლეხებისა, რომლებმაც შეხედეს, რომ მათ წინააღმდეგ მოდიან მემამულეები. ახლა აშკარა მემამულენი აღარ არიან. ვრანგელები, დენიკინები, კოლჩაკები, ნაწილობრივად ზოგნი ნიკოლოზ რომანოვისაკენ გაემგზავრენ და ზოგნი კი—საზღვარ გარეთის უშიშარ და მყუდრო ადგილებს ამოეფარენ. ამ აშკარა მტერს,—როგორც წინეთ მემამულეს და კაპიტალისტს,—ხალხი ვერ ჰხედავს. ასეთ ნათელ სურათს, რომ მტერი უკვე ჩვენს შორის არის, და, რომ ეს მტერი იგივეა, რაც რევოლიუციის რომელიმე უფსკრულის წინაშე მდგომარეობაა, რომელსაც ყველა წინანდელი რევოლიუციები დაეჯახებიან და უკან დაეხევიათ,—ამის შეგნება ხალხს არ შეიძლება ჰქონდეს იმიტომ, რომ ის იტანჯება სიბნელით და წერა კითხვის უცოდინარობით. და რამდენ ხანში შეუძლია სხვა და სხვა საგანგებო კომისიებს ამ წერა-კითხვის უცოდინარობის საგანგებო ლიკვიდაცია,—თქმა ძნელია.

საიდან შეუძლია ხალხმა შეიგნოს, რომ ვრანგელის, კოლჩაკისა და დენიკინის მაგიერ, აქვე, ჩვენს შორის, არის მტერი, რომელსაც დაუღუპავს ყველა წინანდელი რევოლიუციები? ჩვენი პარტიის მიზანია განსაკუთრებით შეგნება, რომ მტერი ჩვენს შორის არის ანარქიული კაპიტალიზმი და საქონლის ანარქიული გაცვლა გამოცვლა. უნდა ნათლად გვესმოდეს ბრძოლის ეს ნამდვილი შინაარსი და ვცდილობდეთ, რომ ნამდვილი მუშათა და გლეხთა მასსებმა ბრძოლის ეს ნამდვილი შინაარსი ნათლად გაიგონ—„ვინ ვის? ვინ ვის დასძლევს?" პროლეტარიატის დიქტატურა არის ყველაზე უფრო მკაცრი, ყველაზე უფრო ბრაზმორეული ბრძოლა, რომელშიდაც პროლეტარიატს უხდება ბრძოლა მთელი ქვეყანასთან, რადგანაც მთელი ქვეყანა, მხარს უჭერდა რა კოლჩაკსა და დენიკინს, მიდიოდა ჩვენს წინააღმდეგ.

ახლა მთელი ქვეყნის ბურჟუაზია მხარს უჭერს რუსეთის ბურჟუაზიას და რჩება მრავალჯერ უფრო ძლიერი, ვიდრე ჩვენ. ამის გამო ჩვენ სრულებითაც არ ვვარდებით შიშში, იმიტომ, რომ სამხედრო ძალა მათაც მეტი ჰყავდათ, მაგრამ ეს მათ მაინც არ ეყოთ, რომ ომში ჩვენ გავესრისეთ, თუმცა ომში, ჰქონდათ რა მათ არტილერიისა და აეროპლანების განუზომელათ მეტი ძალა, ძლიერ ადვილი იყო ჩვენი გაჟლეტა. შეიძლება ამისათვის საკმარისი იქნებოდა რომელიმე კაპიტალისტური სახელმწიფოს რამოდენიმე კორპუსის თავისდროზე შეკრება, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ მოდიოდენ და რომ არ დაეზოგათ რამოდენიმე მილიონი ოქრო კოლჩაკისათვის ვალის მისაცემად.

ეს მაინც არ მოეხმარა მათ იმიტომ, რომ მათი არა სამართლისა და ჩვენი სიმართლის შეგნებით გამსჭვალა ინგლისელ სალდათების მასები, რომელნიც მოვიდენ არხანგელსკში და მატროსთა მასებიც, რომლებმაც აიძულეს ინგლისის ფლოტი გასულიყო ოდესიდან. ახლა ჩვენს წინააღმდეგ გამოვიდა ძალები, ძალებურათ უფრო ძლიერნი, ვიდრე ჩვენ. და, რომ აქვე გავიმარჯვოთ მათზე, საჭიროა დავეყრდნოთ ძალთა უკანასკნელ წყაროს. ძალების უკანასკნელი წყარო კი არის მუშათა და გლეხთა მასები, მათი შეგნება და ორგანიზაციული შეკავშირება.

ან პროლეტარული-ორგანიზაციული ხელისუფლება—და მოწინავე მუშები და უმცირესი ნაწილი მოწინავე გლეხებისა გაიგებენ ამ ამოცანას და შესძლებენ ხალხთა მოძრაობის თავის გარშემო ორგანიზაციას—და მაშინ ჩვენ გამოვალთ გამარჯვებულნი.

ანდა ჩვენ ვერ შევსძლებთ ამის გაკეთებას—და მაშინ მტერი, რომელსაც მეტი ძალა აქვს ტექნიკის მხრივ, აუცილებლად დაგვამარცხებს ჩვენ.

პროლეტარიატის დიქტატურა არის უმრისხანესი ომი. პროლეტარიატმა გაიმარჯვა ერთ ქვეყანაში, მაგრამ ის უფრო სუსტი დარჩა საერთაშორისო მასშტაბით. მან უნდა შემოიკრიბოს ყველა მუშები და გლეხები თავის გარშემო იმ შეგნებით, რომ ომი ჯერ კიდევ არ გათავებულა. თუ ჩვენ სიმღერით ვმღერით, რომ „ეს არის ჩვენი უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა", ეს სამწუხაროთ, ცოტათი არ არის მართალი,—სამწუხაროთ, ეს არ არის ჩვენი უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა. ან თქვენ შესძლებთ მუშებისა და გლეხების ამ ბრძოლაში გაერთიანებას—ან და ვერ მიაღწევთ წარმატებას, ვერ გაიმარჯვებთ. ასეთი ბრძოლა რომელსაც ჩვენ ვხედავთ ამ ჟამად, ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ისტორიაში, მაგრამ ომები გლეხთა მემამულების წინააღმდეგ ბრძოლისა არა ერთხელ ყოფილან ისტორიაში, მონათმფლობელობის პირველი დროების დასაწყისიდან. ასეთი ომები ყოფილან არა ერთხელ, მაგრამ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ომი თავისივე ქვეყნისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ბრძოლა ყველა ქვეყნების გაერთიანებულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ,—ასეთი ომები არ ყოფილა არასოდეს. შევსძლებთ თუ არა ჩვენ წვრილ გლეხობის საწარმოო ძალთა განვითარების ნიადაგზე ორგანიზაციას, ამ განვითარების პროლეტარული ხელისუფლებისაგან დახმარებითი და ხელის შეწყობით, თუ მას დაიქვემდებარებენ კაპიტალისტები,—ამაზეა დამოკიდებული ბრძოლის გამოსავალი. აქამდე რევოლიუციაში ყოფილა ასეთი რამ, მაგრამ ასეთი ბრძოლა ქვეყანას არ უხილავს ჯერ-ჯერობით. გამოცდილება ასეთ ომებში ხალხს არ შეიძლება ჰქონოდა. ჩვენ ის უნდა შევქმნათ თვითონვე და ამ ცდაში ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ მუშათა და გლეხთა შეგნებას. აი რაში მდგომარეობს ამ ამოცანის დევიზი და უდიდესი სიძნელე. ჩვენ არ შეგვიძლია იმედები დავამყაროთ უშუალო კომუნისტურ გადასვლაზე. უნდა ვაშენოთ გლეხის პირადი დაინტერესების ნიადაგზე. ჩვენ გვეუბნებიან: „გლეხის პირადი დაინტერესება, ეს ნიშნავს კერძო საკუთრების აღდგენას". არა, კერძო საკუთრებას პირველ საჭიროების საგნებზე და იარაღებზე, ჩვენით არასოდეს არ მოგვისპია გლეხებისათვის, ჩვენ მოვსპეთ მიწის კერძო საკუთრება, გლეხი კი უმიწოთაც აწარმოებდა თავის მეურნეობას, მაგალითად, იჯარით აღებულ მიწაზე. ეს სისტემა მრავალ ქვეყნებში არსებობდა. აქ ეკონომიურობა იმაშია, რომ პირადათ დაინტერესო. უნდა დავაინტერესოთ აგრეთვე ყველა სპეციალისტი იმით, რომ ის დაინტერესებული იქნას წარმოების განვითარებით. ვიცოდით თუ არა ჩვენ ამის გაკეთება? არა, არ ვიცოდით. ჩვენ ვიცოდით, რომ კომუნისტური ბრძანებით ასრულდებოდა წარმოება და განაწილებაც კლასიურათ გადაგვარებული პროლეტარიატის ქვეყანაში. ჩვენ იძულებული ვიქნებით ეს შევცვალოთ იმიტომ, რომ სხვა გზით ჩვენ არ შეგვიძლია [illegible] პროლეტარიატი ამ გადასვლას. ასეთი ამოცანები ისტორიაში ჯერ კიდევ არ დასმულა. თუ ამოცანის გადაწყვეტა ვსცადეთ ჩვენ პირდაპირ, ასე ვთქვათ, შტურმის დაჯახებით, კიდევაც განვიცადეთ მარცხი. ასეთი შეცდომები დაიშვება ყველა ომებში და მათ არ სთვლიან შეცდომებათ. არ გამოგვივიდა შტურმის იერიში, შევუცვალოთ გვერდი, ვიმოქმედოთ ნელი შეტევით.

და ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ უნდა ავაშენოთ სახალხო მეურნეობის ყველა მსხვილი დარგი პირად დაინტერესების ნიადაგზე.

განსჯა საერთოა, პასუხისმგებლობა კი—ერთ პიროვნული. ამ დასაწყისის განხორციელების უცოდინარობის გამო, ჩვენ ვაგებთ ყოველ ნაბიჯზე. მთელი ახალი ეკონომიური პოლიტიკა მოითხოვს, რომ ეს გაყოფა იქნას გატარებული აბსოლიუტური სისასტიკით და უთუოდ გარკვევით. როცა ხალხი გადავიდა ახალ ეკონომიურ პირობებზე, ის სწრაფად ეცა გამორკვევას თუ რა გამოვიდოდა აქედან და როგორ აეშენებია ეს ახალი. არ შეიძლებოდა არაფრის დაწყება ისე, თუ ის საერთო მსჯელობის საგნათ არ იქნებოდა წინასწარ და ეს იმიტომ, რომ ხალხი ასი წლობით დამუნჯებული ყავდათ შენახული, რევოლიუციას კი არ შეეძლო განვითარება სხვა მხრივ, თუ არა უნივერსალურ მიტინგების მოწყობით ყველა კითხვების შესახებ.

ეს მრავალში არევ დარევას ქმნიდა. ეს იყო ასე, ეს იყო აუცილებელი, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ეს არ არის საშიშათ, თუ დროზე ვისწავლეთ გავარჩიოთ ის, რაც საჭიროა მიტინგობისათვის და რაც საჭიროა მმართველობისათვის, მხოლოდ მაშინ მივაღწევთ საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცებას. მაგრამ ჩვენ, სამწუხაროთ, ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ამის გაკეთება და ყრილობათა უმრავლესობა მიდის სრულებით არა საქმიან სახით.

ჩვენი ყრილობების მრავალრიცხოვანობით ჩვენ წინ ვუსწრებთ დედამიწის ყველა სახელმწიფოებს. არც ერთ დემოკრატიულ რესპუბლიკას არა აქვს იმდენი ყრილობები, რამდენიც ჩვენა გვაქვს.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყანა არის ისეთი, რომელმაც ბევრი დაჰკარგა და დაიტანჯა და უნდა ვასწავლოთ მას ისეთი მიტინგობა, რომ როგორც ვთქვი, არ შევურიოთ ის, რაც მიტინგობისათვის საჭიროა მასში, რაც საჭიროა მმართველობისათვის. იმიტინგე, მაგრამ იმართე-განაგე უფრო მტკიცედ, ვიდრე კაპიტალისტი განაგებდა შენზე წინ. სხვანაირათ შენ მას ვერ დაამარცხებ. შენ უნდა გახსოვდეს, რომ მმართველობა უნდა იყოს კიდევ უფრო მკაცრი და ურყევი, ვიდრე ის იყო წინათ.

წითელ არმიაში მრავალ თვეების მიტინგობის შემდეგ დისციპლინა იყო ისეთი, რომ არ ჩამოუვარდებოდა წინანდელი არმიისას. მასში ღებულობდენ სასტიკ და მკაცრ ზომებს, რომლებიც დახვრეტამდისაც კი მიდიოდენ, ზომებს, რომლებიც არ უხილავს წინანდელ მთავრობასაც კი. მეშჩანები აჩხაურდენ და სწერდენ: „აი ბოლშევიკებმა შემოიღეს დახვრეტა". ჩვენ კი უნდა ვთქვათ: „დიახ, შემოვიღეთ. და შემოვიღეთ სრული შეგნებით".

ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ უნდა დაიღუპონ ან ისინი, რომლებიც ჩვენი დაღუპვა ჰსურდათ და რომლებზედაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი უნდა დაიღუპნენ და მაშინ დარჩება საიცოცხლოდ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა—ან და პირიქით, დარჩებიან საცხოვრებლად კაპიტალისტები და დაიღუპება რესპუბლიკა. იმ ქვეყანაში, რომელიც გაღატაკდა, ან უნდა დაიღუპონ ისინი, რომელთაც არ შეუძლიათ დაჭიმონ ენერგია, ან და მთელი მუშურ-გლეხური რესპუბლიკა. და არჩევანი აქ არ არის და არც შეიძლება იქნას სწორეთ ისე, როგორც არ შეიძლება როგორიმე პირმოთნეობა, სენტიმენტალობა. სენტიმენტალობა არა ნაკლები დანაშაულობაა, რაც არის ომში „შკურნიკობა". ის, ვინც ამ ჟამად დისციპლინის წესს უხვევს, ის უშვებს მტრებს თავის წრეში. აი რატომ ვლაპარაკობ მე, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას აქვს მნიშვნელობა კიდევ სწავლის მხრივაც. თქვენ აქ ლაპარაკობთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა სწავლება. თქვენ უნდა მიხვდეთ მასთან და უთხრათ, რომ სწავლა დაუმთავრებლებს ჩვენში არ ექნება ადგილი. მაშინ, როცა იქნება კომუნიზმი, სწავლა იქნება უფრო რბილი და შეღავათიანი.

ახლა კი მე ვლაპარაკობ, რომ სწავლა არ შეიძლება არ იქნას მკაცრი, როცა ის დაღუპვის შიშის ქვეშ იწარმოებს.

(დასასრული იქნება)

კაპიტალიზმის სამეფოებში

ინგლისი.

უმუშევრობა ინგლისში.

მოსკოვი. 14 ნოემბერი. (რადიო). 26 ნოემბერს სამხრეთ უელსში დაიკეტა კიდევ ორი ნახშირის მადარო. ორი ათასი მემადნეო მიემატება უმუშევართა რიცხვს. ლოიდ ჯორჯმა ხელ ახალი უარით გაისტუმრა უმუშევართა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც უნდოდა მთავრობის მიერ გადადებული 10 მილიონი ფუნტიდან დარჩენილი თანხა გამოეყენებინა სამუშაო ქირის შემცირების წინააღმდეგ მხარის იმ ნაწილებში, სადაც შრომის ხელ-ფასი ისედაც მცირეა.

საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარება.

მოსკოვი. 13 ნოემბ. (რადიო). გოლანდიის კომუნისტურმა პარტიამ და სინდიკალისტებმა ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე შეკრიბეს 30,000 გულდენი, შვეიცარიის კომუნისტურმა პარტიამ ამავე ხნის განმავლობაში შეაგროვა 100,000 ფრანკზე მეტი. შვეციაში ოქტომბრის შუა რიცხვებამდი შეკრიბეს 66,000 კრონი. ყველაზე მეტი წვლილი გაიღეს მელითონეებმა და სასოფლო სამეურნეო მუშებმა. მელითონეებმა შემოსწირეს ფულით 10,000 კრონი და შეკრიბეს ტანსაცმლის დიდი რიცხვი. კომუნისტურმა პარტიამ შემოსწირა 20,000 კრონი. ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღტაცება

წითელ დროშებს მე დავკოცნი, მე დავკოცნი წითელ დროშებს
და თაიგულს მოვაწოდებ ჩემს ამხანაგ მებრძოლ მუშებს.
სულის ძახილს შეუერთებ აღელვებულ ჩანგის ჟღერას
და დავსძახებ აღტაცებით გამარჯვების ტკბილ სიმღერას...
გთხოვ და ნულარ მომაგონებ იმ დაწყევლილ მწარე წარსულს,
ნულარ, ნულარ გამახსენებ იმ დათუთქულ ჩემ გაზაფხულს.
მაშინ კვნესოდა უსასოო დაჭანცული ჩემი ქნარი,
კიდით-კიდე ღრიალებდა საშინელი ცივი ქარი...
დღეს კი ვხედავ აყვავებულს, გახარებულ საქართველოს,
ვხედავ მუშებს—სიამაყეს წითელ დროშას სასახელოს;
ვარსკვლავები იცინიან, ცაში მთვარე იღიმება
და ნიავი მორცხვ ყვავილებს შვების ზღაპარს ეუბნება...
წინ მივდივართ... მივიმღერით სიხარულით გვიცემს გული
და თან მიგვაქვს სისხლისფერი დროშა ვარდით მოქარგული.
და ვიხილავთ, და ვიხილავთ ოცნებისა ტკბილსა მხარეს,
სადაც ყველა იგრძნობს შვებას, სადაც ყველა გაიხარებს.
სიკვდილამდე მებრძოლ გმირებს ვერ გვაშინებს ქარიშხალი,
შეგვიყვარდა ზარბაზნების ქუხილი და თოფთ გრიალი.
გვსურს რომ გაქრეს, განადგურდეს შავი ქვეყნის ნაშთი ძველი,
წითელ დროშით მოიქარგოს საყვარელი მთა და ველი...
და ამ ძახილს მე უერთებ ჩაუქრობელ სულის გზნებას,
რომ გათელოს ჩვენმა მცნებამ არავის არ შევსცვლით ნებას.
წინ, წინ მედგრად სანამ ცაში იღიმება ბადრი მთვარე,
სანამ წინ არ დაგვიხვდება სამოთხე და აღთქმის მხარე...
წითელ დროშებს მე დავკოცნი, მე დავკოცნი წითელ დროშებს
და თაიგულს მივაწოდებ გამარჯვებულ ერთგულ მუშებს,
სულის ძახილს შეუერთებ აღელვებულ ჩანგის ჟღერას
და დავსძახებ აღტაცებით გამარჯვების ტკბილ სიმღერას!..

დ. კო—ძე.

გლისში კომუნისტური პარტიის მიერ შეკრებილი თანხა 11 ოქტომბრისათვის უდრის 1834 გირვ. სტერლინგს. კომუნისტური პარტიას ყავს მხოლოდ 7,000 წევრი, აქიდან 4,000 უმუშევრებია; პარტიის წევრები ვალდებული არიან ყოველ თვიურათ გადასცენ ერთი დღის სამუშაო ქირა. პროფკავშირებმა ოქტომბრის პირველ რიცხვებამდი შეაგროვეს 1060 გირ. სტერლინგი. ბურჟუაზიულმა დამხმარე კომიტეტმა შეკრიბა 14,000 გირ. სტერლინგი. დანიაში მუშებმა შეაგროვეს 800,000 მარკა. ავსტრიის კომუნისტურმა პარტიამ—23 მილიონი კრონი.

გერმანია

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული გერმანიაში.

მოსკოვი. 13 ნოემბ. (რადიო). ბერლინიდან იტყობინებიან: გერმანიის პროლეტარიატმა დიდი ზეიმით იდღესასწაულა ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავი. წარმოებებში მოეწყო კრებები, რომლებზედაც შეაგროვეს შემოწირულება ვოლგის დამშეულებისათვის. გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს გერმანიის კრიტიკულ მდგომარეობას. კრებები მეტად მრავალრიცხოვანი იყო და დასრულდა რუსულ რევოლიუციონურ სიმღერებით.

ქრონიკა

— **მუშათა ფაკულტეტი.** მუშათა სასახლეში 13 ნოემბერს გაიმართა საზეიმო კრება საქართველოს სახელმწიფო პოლიტეხნიკუმთან მუშათა ფაკულტეტის გახსნის გამო მისალმების სიტყვები წარმოთქვა სახალხო განათლების კომისარმა ამხ. კანდელაკმა, საქართველოს წითელი ლაშქრის პოლიტიკური განყოფილების უფროსმა ამხ. ნ. ოკუჯავამ, საქ. კომუნისტ. პარტიის ცეკას მდივანმა მამია ორახელაშვილმა, კავკასიის ცალკე არმიის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. ლისოვსკიმ, წითელ არმიელთა უნივერსიტეტის გამგემ, მუშათა ფაკულტეტის ხელმძღვანელთა წარმომადგენელმა, მუშათა ფაკულტეტის დეკანმა, პოლიტეხნიკუმის რექტორმა ს. ავალიანმა, და მუშათა ფაკულტეტის კურსანტების წარმომადგენელმა ეზიაშვილმა და პოლიტეხნიკუმის კომიჩეიკის წარმომადგენელმა და სხ. ჯერ-ჯერობით მიღებულია ჩაწერილი 270 მუშა თბილისიდან და პროვინციიდან. მეცადინეობა დაიწყება ამ დღეებში.

◆ **სასურსათო კომისარიატში.** სახ. სასურსათო კომისრის მოადგილე ამხ. ერქომაიშვილი თერთმეტ ნოემბერს გაემგზავრა პროვინციაში სასურსათო გადასახადის გატარების საქმეზე. კომისრის დაბრუნებამდის მის მოვალეობას ასრულებს კოლეგიის წევრი ამხ. აპირაგოვი.

◆ **ავეჯეულით ვაჭრობის საქმე.** ქალაქის რევკომმა ოქტომბრის 26-ს სხდომაზე მოისმინა ტფილისში ავეჯეულობით მოვაჭრეთა შუამდგომლობა ავეჯეულობის დამზადების და ვაჭრობის ნებართვის შესახებ და დაადგინა: შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნეს, ავეჯეულობით მოვაჭრეთ ნება დაერთოთ ავეჯეულობით ვაჭრობის და მის დამზადების იმ გარანტიით, რომ მათ ნაწარმოებთ რევიზია და კონფისკაცია არ შეეხება.

◆ **გაერთიანებული მუშათა კოოპერატივი.** ქალაქის რევკომმა ოქტომბრის 26 ს სხდომაზე მოისმინა გაერთიანებულ მუშათა კოოპერატივის შუამდგომლობა ქალაქის სათიბ ადგილების დათმობისა და ყოფ. ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების სახლის მისდამი იჯარით გადაცემის შესახებ და დაადგინა: შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნეს. გასულ სეზონში ქალაქის სასურსათო განყოფილების სარგებლობაში მყოფი სათიბი ადგილი გადაეცეს „გაერკოოპს", სარგებლობის პირობები გამოირკვეს სეზონის დაწყებისას. ყოფ. ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების სახლი გადაეცეს გაერთიანებულ კოოპერატივს და იჯარით, იჯარის პირობების და რაოდენობის განსაზღვრულად შესდგეს სათანადო კომისია.

◆ **შეშის საკითხი.** ამავე კრებაზე მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაადგინა: საზამთროდ შეშის შესაძენად ბათომის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიეცეს 4 მილიონი მან., ქუთაისისას 4 მილიონი, ბორჯომისას 1 ნახ. მილიონი, ოზურგეთისას 2 მილიონი, რაჭისას—2 მილიონი, ლეჩხუმისას—1 მილიონი, ზუგდიდისას—2 ნახ. მილიონი, სიღნაღისას—2 მილიონი, თელავისა—2 მილ., ახალციხისას—3 მილ., დუშეთისას—1 ნახ. მილიონი, ბორჩალოსას—1 ნახ. მილ., ცხინვალისას—1 ნახ. მილიონი, შორაპნისას—3 მილ., რაჭის და ბორჩალოს ინსპექციებს აღნიშნული ფული მიეცემათ ამ ჟამად 20 პროც. გამოკლებით. დანარჩენთ ამ ჟამად მიეცემათ 50 პროცენტი. დანარჩენი შეძლებისდაგვარად შემდეგში.

◆ **ფულის განაწილება.** ქუთაისის მუშათა და გლეხთა ინსპექციას ადგილობრივ ხაზინაში გაეხსნა 10 მილიონი მანეთის კრედიტი (ამ თანხაში შედის შეშის ფული) ფოთს—6 მილ., ბათომს—5 მილ., ბორჯომს 2 მილ., ოზურგეთს—6 მილ., რაჭას—15 მილ., ლეჩხუმს—10, ზუგდიდს—5 მილ., ახალ-სენაკს—2 მილ. სიღნაღს—5 მილ., თელავს—6 მილ., ახალციხეს—6 მილ., დუშეთს—2 მილიონი, გორს—2 მილ., ცხინვალს—5, შორაპანს—3 მილიონი.

წარმოებითი პროფკავშირებში

პროფკავშირები უნდა „გაიწმინდონ"

ამ დღეებში, ერთი პასუხისმგებელი ამხანაგი, არ იჯერებდა, რომ რესპუბლიკაში 60—70 პროცენტამდე მოსამსახურეა, ხოლო 30—40 პროცენტამდე მუშები. როცა მას ციფრებით ხელში დაუმტკიცეს, რომ ეს ასეა—გაოცებული დარჩა! მართლაც, ასეთი გარემოება დამაფიქრებელი უნდა იყოს ჩვენთვის, მით უმეტეს, რომ ეს მარტო აქ, საქართველოში როდია, არამედ ჩვენ ვიცით, რომ ამავე საგანზე რუსეთშიაც ბევრს ლაპარაკობენ. აქ მიზეზები ალბათ ფარულ საბოტაჟში უნდა ვეძიოთ! საბჭოთა ხელისუფლებას უამრავი მტრები ჰყავს და მტერი მტრობის საშუალების ღირსების არჩევაში არ შედის—მისთვის სულ ერთია, რითაც კი გავნებს, მაგალითად—უმოქმედობით. სჭამს, სვამს, იცვამს იხურავს, დაწესებულებას აწევს წურბელასავით, არაფერს აკეთებს და სახელმწიფოს ძარღვებს აღუნებს. ასეთი უმოქმედობა მუხანათ მტრისათვის ბრძოლის კარგ საშუალებას წარმოადგენს და ასე თუ ისე მიზანსაც აღწევს. ამისათვის ფრიად დროულად უნდა ჩაითვალოს დაწყებული „შტატების შემოკლება" და უნდა ვისურვოთ, რომ მტკიცეთ და ფრთხილათ ჩაატარონ ეს კამპანია იმათ, ვინც ამისათვის მოწოდებულნი.

ამასთანავე სრული დაკავშირებით, მე მინდა მივაქციო პროფკავშირთა საბჭოს ყურადღება პროფესიონალურ კავშირთა „გასივებას". ამ დღეებში მე ამოვიკითხე გაზეთებში, რომ სევასტოპოლში კავშირების „გაწმენდის" შემდეგ ოციათასი წევრიდან დარჩა მხოლოდ თერთმეტი ათასი! ამნაირათ, თითქმის ნახევარი გაურეკიათ კავშირებიდან,—ცხადია ხორცმეტები ყოფილან! საჭიროა და დროც არის ჩვენც მივბაძოთ ამ მაგალითს და ჩვენც გავწმინდოთ ჩვენი კავშირები.

კავშირები—ეს ხომ მშრომელთა ტაძარია და ამ ტაძრის კარები ჩვენ, ჩვენი გულკეთილობით, ფართეთ გავაღეთ ყველასათვის, ხოლო გულკეთილობას განა ერთხელ მოუტყუებივართ?! აქ, სადაც ყვავ-ყორნები დაგვხვდებიან გარშემო, გულკეთილობასთან ერთად სხვა რამეც უნდა გვქონდეს „მომარაგებული". გადატრიალების შემდეგ კავშირებში ჩაწერა ვინ და არ მოისურვა? ყველა სპეკულანტი, ვაჭარი, მედუქნე, ტროტუარით მოსეირნე „ახალგაზრდა დამები"—ყველა ამათ აიჩინეს ესა თუ ის სპეციალობა და ჩაეწერნენ ნამდვილ მუშებს, ხელოსნებს. უმეტესობა მათგანი არა თუ რაიმე შემოქმედებით მუშაობას აწარმოებენ, არამედ ხელს უშლიან საქმეს და ერთნაირი გახრწნილებაც კი შეაქვთ იქ. მრავალია მიზეზი მათი კავშირების წევრობის სურვილისა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, მოსამსახურის იარლიკის აკვრა, გადასახად-გადმოსახადების თავიდან აცილება, „უსაქმურად არ ყოფნა" და მრავალი სხვა. გაქუცული სახელმწიფო, ასე და აქამდე ამ მუქთა ხორებს, ჩააცვი, დაახურე, უჭამლე და მეტს ისინი არას დაგიდევენ.

არ უნდა დავმალოთ კი, რომ სურსათის სიცოტავეს განვიცდით! ჩვენ უნდა ვსთქვათ და საქმეთ უნდა ვაქციოთ:

„იმან უნდა ჭამოს—ვინც მუშაობს".

ამისათვის—კი საჭიროა აირჩეს განსაკუთრებული კომისიები—„კავშირთა გამწმენდი კომისიები", რომელმაც უნდა გაყარონ კავშირებიდან: საბოტაჟნიკები, „თებერვლის" ხელოსნები, უმთავრესათ ყურადღება უნდა მიექცეს ასეთ კავშირებს როგორიც არიან „სოვრაბოტნიკები", „რაბისები" და სხვ. მათი მგზავსი. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს მოსამსახურეთა თარეშს, ერთი კავშირიდან მეორეში გადასვლას რადგანაც მრავალ შემთხვევაში ერთი და იგივე რამდენიმე კავშირში ირიცხება.

ამნაირათ, ჩვენ თუ სევასტოპოლის პროპორციით შევამოკლებთ წევრებთა რიცხვს—ცხადია დიდ შედეგს მივიღებთ. სურსათის კრიზისი რამოდენიმეთ განელდება მუშებისათვის და ცოტა უფრო მაღლა ქუდით შრომის ნაყოფიერებაც გაძლიერდება.

სანდრო იაშვილი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა კლუბის გახსნა.

7 ოქტომბერს საღამოს 9 საათზე, მუშათა და გლეხთა ინსპექციის შენობაში ინსპექციის სახალხო კომისარიატის თანამშრომელთათვის გაიხსნა ლენინის სახელობის კლუბი. მთელი შენობა ოქტომბრის გადატრიალების ოთხი წლის თავის დღესასწაულისათვის მორთული იყო გირლიანდებით, პლაკატებით, ბოლშევიკურ მოღვაწეების სურათებით. სცენაზე ცოცხალ ყვავილებში მოთავსებული იყო ა. ხ. ლენინის ბიუსტი. საზეიმო საღამოს ხსნის ადგილობრივ კომიჩეიკის თავმჯდომარე ამხ. ლეკვეიშვილი. პირველი სიტყვა ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავის მნიშვნელობაზე ეძლევა მ. და ინსპ. სახ. კომ. ამხ. ქოქიკაშვილს. იგი ეხება ოქტომბრის გადატრიალების ისტორიას, იმპერიალისტებისა და სოციალ გამყიდველებისაგან ძალაუფლების ბოლშევიკების ხელში გადასვლას, ანვითარებს მთელ წინა მდგომარეობას და ლოღიკურ დასკვნად აღნიშნავს ოქტომბრის გადატრიალებას, საბჭოებზე მენშევიკების მაგიერ ბოლშევიკების გასვლას, თავზე ძალით მოხვეულ სამოქალაქო ომს, კონტრ-რევოლიუციონურ გენერლებთან ბრძოლას, პოლონეთის სამხედრო ავანტიურას, შემდეგ თანდათანობით სამეურნეო ფრონტზე გადასვლას და მუშაობას.

დასასრულ ამხ. ქოქიკაშვილი უსურვებს გამარჯვებას წითელ არმიას, კომუნისტურ ბელადებს ამხ. ლენინს, ტროცკის, ცხაკაიას, მახარაძეს, და მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

საკონცერტო განყოფილებაში პროფეს. შეიდლოვმა პიანინოზე შეასრულა შოპენისა და ბეტჰოვენის რამდენიმე კომპოზიცია. ქართული რომანსები შეასრულა სახელმწიფო ოპერის მსახიობმა ინაშვილმა, ელიოზიშვილმა, მ. ქიაურელმა ხალხური სიმღერები ჩონგურზე. დრამის მსახიობმა ვასაძემ დეკლამაცია. გამოვიდა მომღერალი ქალი შახოვსკაია, რომელსაც აკომპანიმენტი ჟანნა ფალიაშვილისა, დასასრულ გაიმართა ცეკვა, საზეიმო საღამო დასრულდა ღამის 1 საათზე.

დამსწრე.

სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიციის მუშა მოსამსახურეთა შორის.

შაბათს, ნოემბრის 5, ხსენებულ დაწესებულებაში მოხდა მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. მოხსენება მომენტზე გააკეთა ამხ. მ. ტოროშელიძემ, რომელიც საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის მოკლედ დახასიათებასთან ერთად, შეეხო მენშევიკების მიერ ჩადენილ პროვოკაციულ გამოსვლებს რესპუბლიკის რკინის გზაზე. მან აღნიშნა მათი უტაქტობა, მშრომელი ხალხისადმი (მენშევიკების) ღალატი, რაც რკინის გზაზე, მათ მიერ ორგანიზაციულად, გაფიცვების მოწყობაში გამოიხატებოდა. იმ დროს, როცა მშრომელი ხალხი, საბჭოთა ხელის უფლების გამტკიცებაში და მთელ თავის ენერგიას მუშათა კლასის ეკონომიურ კრიზისიდან დახსნას ანდომებს, ამ დროს მენშევიკებმა პროლეტარიატს მოღალატურად მოუნდომეს ზურგიდან დანის ჩაცემა. იმპერიალისტურ ომებით და მენშევიკების თარეშით გამოწვეულ ეკონომიური კრიზისის დროს, რკინის გზის შეჩერებით, მათ სურდათ შეექმნათ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების არევ დარევა, მაგრამ მათ საწინააღმდეგოდ მტკიცე რევოლიუციონერ მუშათა გამოსვლის წყალობით ისინი სასტიკად დამარცხდნენ.

მოხსენების დასრულების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა ამხ. ტოროშელიძის მოხსენება მიმდინარე მომენტზე, ჩვენ ექსპედიციის მუშა-მოსამსახურენი დიდ გულის წყრომას გამოვსთქვამთ მენშევიკების მიერ ჩადენილ პროვოკაციულ მშრომელი ხალხის საწინააღმდეგოდ მიმართულ მოქმედების შესახებ, რომელიც ორგანიზაციულად რკინის გზის შეჩერებასა და ხელოვნურად შიმშილის ცდაში გამოიხატებოდა.

ერთხმად ვკიცხავთ მუშათა კლასის გამყიდველ მენშევიკების ამ გვარ მოქმედებას, რადგან იგინი ამით ცდილობდნენ მუშათა წრეებში დეზორგანიზაცია და რღვევა შეეტანათ.

მოუწოდებთ მუშა-მოსამსახურეთ დაუყონებლივ განდევნონ თავის წრიდან ყოველი პროვოკატორი და ხელი შეუწყონ ფეხზე წამომდგარ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას და საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცებას, რათა გამარჯვებული გამოვიდეს იმ ბრძოლიდან, რომელსაც მუშათა კლასი კაპიტალიზმის უღლიდან განთავისუფლებისათვის აწარმოებს".

რეზოლიუციის მიღების შემდეგ კრება დაიხურა.

პროვინციაში

მანგლისის რაიონი

სოფელ საფუძვრების კომიაჩეიკამ დაადგინა 8 ოქტომბერს, გაეყვანათ გზა საფუძვრებიდან ბედენზე: ამ მთას აქვს საუკეთესო სათიბი ადგილები, რომლებიც უკვე გათიბეს და რადგან ეს მაღალი მთა იყო უგზოთ, არ შეეძლოთ ჩამოეტანათ თივები: მთლიანი სიგრძე ამ გზისა გორაზე არის არა ნაკლები 6—7 ვერსისა, გზის კეთება დაიწყო ამ სოფლის იაჩეიკამ, მთელმა სოფელმა მხარი დაუჭირა, ეს მესამე კვირაა რაც მუშაობენ ყველანი, და ჩქარა დაათავებენ—თუმცა რიცხვით მცირეა ამ სოფლის მუშები, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ დიდი უნარი გამოიჩინეს და ძალზე კარგი გზა აიყვანეს. ამ დღეებში დაიწყებენ თივის ზიდვასაც. მომავლისათვის ფიქრობს ეს სოფელი, ჩვენი ამხ. ტ. ბედოიძეს მეთაურობით დახნან ამ მთაზე სათიბების გარდა არსებული ადგილი დათესონ 20—25 დესეტინაზე, საერთო ძალით კარტოფილი. ამ წელს უკვე ჰქონდათ ნიმუშათ დათესილი და ძალზე კარგი მოვიდა და ამისთვის შეკრა ეს სოფელი მომავლისთვის დაიმუშაონ თუ მოახერხეს. სასარგებლო იქნება ყველასთვის: სასურველია ამ იაჩეიკამ მიაქციოს ყურადღება სხვა გზებსაც.

შემდეგ წალკის გზას აკეთებს საერთო ძალით მთელი რაიონი: ის დაიწყო ადგილობრივმა რაიკომმა და რევკომმა მთელი რაიონის დახმარებით, შეკეთდა რაც იყო შეძლება, იმუშავა ორას ოცმა ურემმა და ათასამდე კაცმა. სადაც ძალიან გაფუჭებული იყო შეკეთდა ისე რომ თუ აქამდე გადაუბრუნებლათ არ შეეძლო გავლა ურემს, ეხლა თავისუფლათ გაივლის მაგრამ გზა სამუდამოთ არ არის შეკეთებული. ამ ბოლო დღეებში ძალზე შეფერხდა მუშაობა. მიზეზი არის ის, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ძალზე სუსტი გამოდგა, გასძღოლოდა ამ საქმეს: ხალხი არ არის უარს იმუშაოს, მაგრამ არის საჭირო ორგანიზაციულათ მოწყობა მუშაობის და დაყოფა რაიონებათ როგორც გზის ისე მუშაობის. ამ დღეებში ჩვენი თხოვნით გამოგვიგზავნა ცენტრმა ტეხნიკი და ცოტა იარაღიც, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ცენტრიდან, საჭიროა ფულით დახმარება, დანარჩენი საქმე შესრულდება ადგილობრივ მცხოვრებლებიდან. აღვძარით შუამდგომლობა ფულზე და ველით პასუხს: თუ არა და გზაზე მუშაობა შეჩერებული იქნება და ამ შეკეთებით ძლივს გაივლის გაზაფხულამდე შემდეგ კი უფრო მეტს. მე ვითხოვს იმედი აქვს მთელ რაიონს, მთავრობა მიაქცევს ყურადღებას ამ დანგრეულ გზის სრულ შეკეთებას.

ა. ჯაფარიძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ვაკზალი. კახეთის მოედანი. 5—53.

— მე-4-ზე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა,

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ოთხშაბათს, ნოემბრის 16 ს, საღამოს 6 საათზე შესდგება

ს. პ. კ. ს. პლენუმის სხდომა კავშირთა ც. გ. და საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად

(მუშათა სასახლე, საბჭოს დიდ დარბაზში).

დღის წესრიგი: 1. მუშათა ბინის პირობების გამაუმჯობესებელ კომისიის მოხსენება. 2. მუშათა კოოპერატივის გამგეობის მოხსენება, 3. ს. პ. კ. ს- სათრგ. ინსტ. განყოფილების შესახებ, 4. მიმდინარე კითხვები.

ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

საბჭოთა აღმშენებლობის და მეურნეობის გამოფენა

გახსნის წინა დღეს.

სახელმწიფო დრამის უზარმაზარ დარბაზში დუღს მუშაობა. მთელი დარბაზი, ვესტიბიული და ფართე დერეფნები მთლათ გავსებულია ექსპონატებით, რომელთაგან ზოგი უკვე გახსნილია, ზოგი კი ჯერ კიდევ ყუთებშია და ცალებადაა შეკრული. ხოლო ახალი სურათები და გამოსაფენი მასალა მოდის და, მოდის და მათ განაწილებას განყოფილებებს შორის უნდებიან ასობით პასუხისმგებელი პირები. 6 ნოემბრის შუადღემდე ჯერ ყველა განყოფილებები როდია გავსებული, არც ადგილია განაწილებული და ყველა ყუთები და ცალებიც არ არის გახსნილი. მაგრამ მუშაობა, ისიც მეტათ ინტენსიური მუშაობა გრძელდება და იმედია, რომ 7 ნოემბრის დილას ყველაფერი რიგზე იქნება. ექსპონენტები და ექსპონანტები იმდენათ ბევრია, რომ ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობის ყველა ნაყოფის მოსათავსებლათ არ იკმარებდა რამდენიმე ისეთი შენობა, როგორიცაა ყოფილ არტისტიულ საზოგადოების შენობა. განყოფილებებს ძალა-უნებურათ უხდებათ რამდენადმე შევიწროვდნენ და თავიანთ ტერიტორიის ნაწილი დაუთმონ სხვა, ისეთ განყოფილებების ექსპონატებს, რომლებიც ხშირათ ან სულ არა და ან ცოტათი ჰგვანან მათ წარმოებითი ნიშნებით. თუ გამოფენა შეიძლება იყოს ქვეყნის კულტურულ ზრდის მაჩვენებელი, მაშინ ეს გამოფენა გვაძლევს ჩვენ ნათელ სურათს იმისას, თუ რა ბევრი გაარიგა საბჭოთა საქართველომ იმ მოკლე ხანაში, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალს ჰყოფს ოქტომბრის რევოლიუციის მეოთხე წლისათვის საზეიმო დღესასწაულისგან. გამოფენაზე ყველაზე ნათლათ და სრულათ წარმოდგენილნი არიან ს. მ. უ. ს. და მის ქვე-განყოფილებათა უზარმაზარი განყოფილება, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის, რკინის გზის, სახალხო განათლების კომისარიატის, შევარდენის და სოციალურ აღზრდის განყოფილებანი, რომელნიც უკვე 6 ნოემბერს საღამოთი რიგზე იყვნენ გამართულნი.

ს. მ. უ. ს. გამოფენაზე.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ძლიერ ნათლათა და სავსებით არის წარმოდგენილი გამოფენაზე. ს. მ. უ. ს.-ის ყველა განყოფილებათა ექსპონატები მკვეთრმეტყველურათ გვიჩვენებენ საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის ზრდას. აქ ჩვენ ვხედავთ არა თუ მარტო მშრალ დიაგრამებს, სტატისტიკას და წარმოების ციფრების მწკრივებს, არა, ჩვენ აქ ვხედავთ თითონ წარმოებას, მუდმივ მის ზრდას და ღირსების გაუმჯობესებას. სავსებით წარმოდგენილნი არიან კომუნალურ მეურნეობის განყოფილებანი, სატყეო-სამკერვალო, სამთო მადნეულ (ნიმუშების მაგიდა 40 მადანია, რომელნიც ამ ქ მათ წარმოებაში არიან).

საქართველოს თამბაქოს ტრესტი წარმოდგენილია ყველა ჯურა თამბაქოსი და მისგან ნაწარმოების მშვენიერათ შედგენილ კოლექციებით, დიაგრამებით, რომლებიც ახასიათებენ წარმოების ზრდას. ცხრილებით, რომლებიც უჩვენებენ ამ წარმოების—შრომის ერთეულებს და სხვა...

საკვებ-ქიმიურ მრეწველობის განყოფილება 2 რუკით: საკვების განყოფილების ორგანიზაციის გეგმის ერთი სქემით, რომელიც შედგენილია საკვებ მრეწველობის კლასიფიკაციის თანახმათ, და მეორე—აწ არსებულ წარმოების გეგმით.

შემდეგ მოსდევენ პირველ სახელმწიფო ფაბრიკის—„ბავშვთა საკვების" ექსპონატები, რომლებიც მეტყველათ ლაპარაკობენ იმას, რომ ზრუნვა ბავშვებზე და მათ ჯანმრთელობაზე—საფუძველია საბჭოთა აღმშენებლობისა.

მერე მოსდევენ ექსპონატები განყოფილებათა და ქვე-განყოფილებათა: ტექნიკურ-სახამებლისა, სახმობისა, ღვინისა და სპირტისა, ფარმაცევტიულისა, ქონეულობისა, ასანთისა და სხვ.

ცალკეა გამოფენილი სენაკის მაზრის რევკომის ექსპონატები (სასოფლო-სამეურნეო იარაღების ნიმუშები, ნაწარმოები ხისაგან და სხვ.).

ს. მ. უ. ს. სატყეო განყოფილება გამოფენაზე.

საზონდრო სახელოსნოს ნაწარმოებნი, რკინის გზის ფარები თოვლისგან, შპალები, კოჭები რკინის გზის ხიდებისთვის, მუხის კლიოპკები (წვრილი საბოჭკე ფიცრები), მოზადებულნი მექანიკურ საშუალებით, მშვენივრათ და მხატვრულათ შესრულებულნი პარკეტის ნიმუშები, მხატვრულათ აკეთებული ავეჯი, ფანერების ნიმუშები და სასკოლო ქარტები ერისმანისა და გოტერმანის სისტემითი და სხ.

ს. მ. უ. ს. ექსპონატების განყოფილება ყველაზე უფრო სავსებითაა წარმოდგენილი და მარჯვეთაა დანაწილებული ჯგუფებათ.

დიდებული [illegible].

სახალ. განათლების კომისარიატის კინოსექციამ განიზრახა თავის მუშაობის შედეგების თავის მოყრა და ეს საქმე მარჯვედაც შეასრულა.

თეატრის განყოფილება.

სახალხო განათლების კომისარიატის თეატრალურმა განყოფილებამ გამოფინა მთელი რიგი კარგათ შესრულებული სურათი ქართული სცენის მოღვაწეებისა. ს. გ. კ. სააგიტაციო განყოფილება სხვა მრავალ საგიტაციო საშუალებათა შორის იძლევა რამდენსამე გრამოფონის ფირფიტას, რომლებშიაც გადმოცემულია საბჭოთა რუსეთის ბელადების სიტყვები: ამხ. ლენინისა, ლუნაჩარსკისა, ტროცკისა და სხ.

შევარდენი.

დიდი დარბაზის ერთ-ერთი კუთხე უჭირავს შევარდენის საზოგადოების ექსპონატებს. თვალსაჩინოთ, თანდათან გამოფენის დამთვალიერებლის თვალწინ გაივლის მთელი მოქმედება ამ საქართველოში პირველი საფან-ვარჯიშო—[illegible] სკოლის ყველა მისი სტოებებით. დიაგრამების მთელი რიგი გვიხატავს ციფრებით შევარდენის საზოგადოების მოღვაწეობის მაჩვენებლობას. მთელ საქართველოში 15,000 შევარდენია. წარსულ ზაფხულში საზოგადოებას სულ 20 მდე გამოსვლა ჰქონდა. ექსკურსიები მოაწყეს 22-დე. უკანასკნელი გადასვლა თბილისიდან თელავამდე მოიხდინეს სულ მოკლე ხანში, მეტათ სწრაფად. შევარდენის კურსებმა გამოუშვეს 16 ინსტრუქტორი.

შევარდენის საზოგადოების გვერდით მოთავსებულია სოციალურ აღზრდის პატარა განყოფილება. აქ გამოფენილია სოციალურ აღზრდის განყოფილების სკოლის უმცროსს მოწაფეთა საჩუქრები, დიაგრამები და ბევრ მეტყველი პლაკატები, რომლებიც გვიხატავენ განსხვავებას ახალსა და ძველ სკოლას შორის და შინაგან დისციპლინას (ახალი სკოლა) და გარეგან დისციპლინას (ძველი სკოლა) შორის.

საბჭოთა მართლმსაჯულება გამოფენაზე.

ეს განყოფილება საინტერესოთაა შედგენილი. იაკობ ნიკოლაძის ქანდაკების—„საბჭოთა მართლმსაჯულების" ნიმუში მოთავსებულია უკვე დასრულებულ ნაწარმოებთა შორის. აქვე ვიტრინებში აწყვია „ბანდიტიზმის იარაღები": ხანჯლები, რევოლვერები, გასაღებები და სხვა; მაშვე მეტყველი წარწერაა: „ბანდიტიზმი მოსპობილია", როგორც საშინელი მემკვიდრეობა ძველი, უკვე დამხობილ წყობილებისა, მაგიდაზე აწყვია სხვა და სხვა რკინის ფეხისა და ხელის ბორკილები. ზედ პლაკატია წარწერით: „ბორკილებმა მოჭამეს თავიანთი დრო".

გარეშე საქმეთა კომისარიატი გამოფენაზე.

გარეშე საქმეთა კომისარიატმა სხვა პლაკატთა შორის გამოფინა ყარსის ხელშეკრულება, დადებული 1921 წ. 13 ოქტომბერს, საქართველოსა, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების მიერ ოსმალეთის დიდ ეროვნული კრების მთავრობასთან. აქვე დიდად მნიშვნელოვანი პლაკატია სიტყვებით: „საქართველო თავის თავს სთვლის ძმურ, განუყრელ კავშირში ყველა არსებულ საბჭოთა რესპუბლიკებთან".

სახ. გ ნ. კომ. თვალსაჩინო სახელმძღვანელოების ინსტიტუტი.

ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა გამოფინეს სრული სურათი ამ სასარგებლო დაწესებულების მოქმედებისა მთელი რიგი მშვენივრად შესრულებული ნამუშევრით და ნიმუშებით. აქაა ბიუსტები პაპიე-მაშესაგან საქართველოს არტისტებისა, პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეებისა, მხატვრულად შესრულებული ადამიანის სხეულის შინაგანი ორგანოები, ადამიანის თავი შუაზე გადაჭრილი, ადამიანის მოდელები და რამდენიმე ნიმუში გლეხურ სას.-სამეურნეო შენობებისა, მავნე მწერთა კოლექციები და სხვა.

ტფილისის მეაბრეშუმეობის სადგური.

ეს განყოფილება მნახველის ყურადღებას იქცევს გამოფენილ ექსპონატების სისრულით და ნაირნაირობით. განყოფილებანი—მეაბრეშუმეობის მეურნეობა, ბაღის მეურნეობა (თუთის ფურცლის მოშენება), მეფუტკრეობა, აბრეშუმის დამმუშავებელი სახელოსნოები სერიოზულადაა გამოფენილი და იმავე დროს მეტად საინტერესოთ. აქვე ნახავთ აბრეშუმის ჭიის პარკის მსოფლიო წარმოების დიაგრამებს. მეაბრეშუმეობის ინსპექციამ გამოფინა საინტერესო ცნობები გამოყვანილი ჭიის თესლის და მიღებულ პარკის შესახებ საქართველოში 1911 წლიდან 1921 წლამდე.

ჯანმრთელობის დაცვა.

ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ვიტრინები, პლაკატები და დიაგრამები იძლევიან ამ კომისარიატის მოქმედების ამომწურავ სურათს. განყოფილებანი: სამკურნალოები საპატიმროებში, სამოსამართლო—სამედიცინო ექსპერტის განყოფილებანი, რკინის გზების ჯანმრთელობის დაცვის, დედობის და ბავშვების დაცვის განყოფილებანი, სანიტარულ განათლების სახლი და სხვა.

შინა მრეწველობა.

საინტერესოა შინა-მრეწველობის ქვე-განყოფილება სამეცნიერო სახელოსნოს მუშაობის და არშიების წარმოების დემონსტრაციით.

წითელი ვაჭარი.

ყურადღებას იზიდავს დიდი პლაკატი სიტყვებით: „ჩვენა გვყავს წითელი ჯარის უფროსები, წითელი ტეხნიკოსები, წითელი პროფესორები. უნდა გაჩნდეს წითელი ვაჭარიც".

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის გამოფენაზე.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ექსპონატებს გამოფენაზე უჭირავთ საკონცერტო დარბაზის შესასვლელიდან მარცხენა სექტორი. ამ სექტორის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს თბილისის ბოტანიკური ბაღი, რომელიც ყოველ მხრივათ არის წარმოდგენილი მთელ რიგ საუკეთესო კოლექციებით, ვიტრინებით, დიაგრამებით და ცოცხალ მცენარეთა განყოფის ექსპონატებით. აქ თანდათანობით მოსდევენ აღმოსავლეთ საქართველოს მინდვრის მცენარეთა განყოფილება (შეკრებილი 1921 წ), სათესლეს გამომცდელ სადგურის ექსპონატები, ბამბის მცენარეთა ნიმუშები, საქართველოს სათიბების მცენარეთა კაბინეტი, საქართველოს სათიბის იონჯა, კარგად არის ნაჩვენები მიწად-მოქმედების სანერგეები. სასოფლო-მეურნეობის მავნეთა წინააღმდეგ საბრძოლველი ბიუროს ვიტრინა, საკითხების ლიტერატურა და ფართო კოლექცია. შემდეგ მიდის ბოტანიკურ ბაღის ენტომოლოგიური კაბინეტი, მტვერის (სპორების) მცენარეთა განყოფილება, ბოტანიკურ ბაღის ფიზიოლოგიურ კაბინეტის ვიტრინა. საქართველოს წამლეულობის მცენარეთა კოლექცია და მიწად-მოქმედების საქონლის ჭირის წინააღმდეგ მებრძოლ სადგურის ვიტრინა. ბევრი საინტერესო დიაგრამები და საუკეთესოდ შედგენილი გერბარიები.

საქართველოს რევკომი გამოფენაზე.

საქართველოს რევკომის მუშაობა გამოფენაზე წარმოდგენილია რელიეფურ დიაგრამებით და სტატისტიკურ ციფრებით. პლენუმის სხდომა იყო სულ 33, განხილულ იქნა 177 საქმე. საერთო სხდომების რიცხვი 81, განხილულ საკითხებისა—125 ცალკე ვიტრინა იძლევა მთელ რიგ საინტერესო ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც ამოღებულია საქართველოს რევკომის არქივიდან, მთელი რიგი შესანიშნავი რადიოებისა, ისტორიულ დღეების და უფრო საინტერესო ბრძანებები. ცალკე კარტონი ირონიული წარწერით „საბჭოთა ხელისუფლების დანაშაული", რომელიც უჩვენებს ბურჟუებზე შეწერილ გადასახადს—50 მილიარდ მანეთის და მის განაწილებას. ორ ფოტოგრაფიულ ვიტრინაში მოთავსებულია საქართველოს რევოლ. მთავრობის ყველა წევრების სურათები.

მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესება.

ამ საკითხს გამოფენაზე დათმობილი აქვს ორი ვებერთელა ვიტრინა. მუშათა საბინაო ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია გამოხატავს თავის მოქმედების შედეგს მუშათა ყოფა ცხოვრების ფოტოგრაფიულ სურათებით წინათ და ეხლა კი ციფრებით.

ოთახების საერთო რაოდენობა ყველა მუშათა სახლებისა ქალაქ თბილისში 2860. მათში ჩასახლებულია ყველა კავშირების მუშათა ოჯახები 250 000, საერთო რიცხვით 5500 კაცი. ჩასახლებულია თვითეულ ქალაქის საუკეთესო ბინებში 1500 ოჯახი, სულ. ფოტოგრაფიული სურათებით უჩვენებენ, თუ როგორ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება მუშებს წინათ და როგორ გაუმჯობესდა ეს პირობები ეხლა.

ფინანსთა სახ. კომის. გამოფენაზე.

გამოფენაზე ფინანსთა სახალხო კომისარიატს ეკუთვნის ფრიად ორიგინალური და მოხერხებულად მოკონილი ვიტრინა ოქროს ფულის, ოქროს ზოდებით და სავალუტო ფასიან ქაღალდებით—სულ 3 მილიარდ მანეთისა. მის გვერდით—საქართველოს ბონების ნიმუშები მეტყველური წარწერით: „ნიმუში იმისა, თუ რად აქცევს ბონებს ფინანსთა სახალხო კომისარიატი".

განათლების სახალხო კომისარიატი გამოფენაზე.

განათლების სახალხო კომისარიატის განყოფილებათა შორის შესანიშნავია პოლიტიკურ განათლების მთავარი სამმართველოს კულტურულ-ტეხნიკური განათლების სექცია და იზოაგიტი. აურაცხელი რაოდენობა ესკიზებისა და შავად ნახატებისა, რომელიც შეიკრიბა განყოფილებაში და წარმოადგინეს მხატვრებმა შედარებით მოკლე დროში, მეტყველებს განყოფილების დიდ მუშაობაზე. [illegible] საინტერესო კოლექცია პროფკავშირების გერბების ხატებისა. სკულპტურის სექციას წარმოდგენილი აქვს მსოფლიო რევოლიუციის ბელადთა ბიუსტები. ძლიერ შინაარსიანია პოლიტიკურ განათლების საბიბლიოთეკო განათლება დიაგრამებით, პლაკატებით და მოწოდებებით, რომ ფართოლად მოეკიდონ წიგნებს როგორც საუკეთესო და საიმედო მეგობარს. კლუბის ქვე-განყოფილებამ გადმოსცა დიაგრამებში თავის ნაყოფიერი მუშაობის შედეგი. განათლების სახალხო კომისარიატის თეატრების შესახებ ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ გამოფენის საერთო მიმოხილვის დროს. აღვნიშნავთ მხოლოდ მშვენივრად შესრულებულს საქართველოს სცენის მოხუც მსახიობის ვასო აბაშიძის სურათს, რომელიც ეკუთვნის სიდამონ-ერისთავს. განათლების სახალხო კომისარიატის კინო-სექციას გამოუფენია ახალი დრამის ფოტოგრაფიული სურათები, რომელზედაც სექცია ეხლა ენერგიულად მუშაობს. კინო-დრამის სცენაში დაწერილია პოლიტიკურ თემაზე არსენა ჯორჯიაშვილის სახალხო ინტერესებისთვის შურის მაძიებლის მიერ გენერალ გრიაზნოვის მოკვლა. სახალხო განათლების საკანცელარიო ნივთების სახელოსნოს გამოუფენია უვარგის საარქივო მასალისაგან გაკეთებული ნივთები. აქ არის რვეულები, ბლოკ-ნოტები, კონვერტები, ალბომები, კალმის ტარები და სხვ. ამ ვიტრინის გასწვრივ სდგას პატარა დურგლის დაზგა, სადაც იქვე, გამოფენაზე დამსწრეთა თვალ წინ, აწარმოებს მუშაობა დაუმუშავებელ შტოებიდგან, ჯოხებისაგან და ხის ნაჭრებისაგან სამოსწავლო ნივთების დასამზადებლად.

ქუჩის ვიტრინები გამოფენაზე.

ქუჩის ვიტრინების და კალენდრების ქვე-განყოფილება წარმოდგენილია გამოფენაზე სრულიად და მრავალ მხრივად მრავალ რიცხოვან პლაკატებით, სურათებით და სქემებით. საინტერესოა პლაკატი „რევოლიუციონური მოძრაობა რუსეთში" პუბლიცისტების სურათებით ნოვიკოვიდგან და რადიშჩევიდგან დაწყებული თვით ლენინამდის, კარგია აგრეთვე საქართველოს პოეტის შოთა რუსთაველის პლაკატი, არის აგრეთვე ლევ ტოლსტოის პლაკატი მის იდეურად მიმდევრის ილია ნაკაშიძისა, რომლის სურათი, სხვათა შორის, ისე უხეირად ალათაა შესრულებული, რომ წარწერა აუცილებლობას წარმოადგენს გასარჩევად.

საქართველოს საბჭოთა დეპეშათა სააგენტოს („საქსაბდესი") მიერ წარმოდგენილია ნაწარმოების ნიმუშები და მთელი რიგი დიაგრამებისა. თხელ ფერად ქაღალდზე ბიულეტენები ქართულ და რუსულ მასალისაგან, რომლებსაც ყოველ დღე უგზავნის „საქსაბდესი" ადგილობრივ პრესსას, დაწესებულებებს და პასუხისმგებელ მუშაკებს. აქვეა დეპეშები, რომლებიც ყოველ დღე იგზავნება საქართველოს ყველა კუთხეში. საინტერესოა დიაგრამები, რომლებიც ახასიათებენ სააგენტოს მუშაობას არამც თუ მარტო ქვეყნის საერთო ცხოვრების გაშუქების მიმართულებით, არამედ ყველა ამბებისა და მოვლენებისა, რომლებიც შეეხება წარმოებას.

ექსკურსიის ქვე განყოფილება.

ეს ქვე განყოფილება, როგორც პირველი, მოთავსებულია თეატრის ვესტიბიულში, გამოფენის შესავალში. აქ არის საქართველოს სამხედრო გზა შესანიშნავ ყინვარების საექსკურსიო რუქათი.

კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის

ყველა სამაზრო კომიტეტებს, ბათომის საოლქო კომიტეტს, თბილისისა და ფოთის ქალაქის კომიტეტებს, ჭიათურის, ტყიბულის, სამტრედიის, ხონის, ბორჯომისა და ხაშურის რაიონულ კომიტეტებს და ს. ა. კ. კ. თ. კ. 1, 2, 3, 4 რაიონულ კომიტეტებს.

ც. კ. ბიუროს დადგენილების თანახმად, 25 ნოემბერს ქ. ტფილისში, მოწვეულია თათბირი ეკონომიურ განყოფილებათა (არა სამრეწველო მაზრებისა), და შრომისა და განათლების განყოფილებათა (სამრეწველო მაზრებისა და რაიონებისა).

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) ც. კ. განყოფილების ანგარიში.
2) მდგომარეობა მშრომელი ახალგაზრდობისა, ახალ სატარიფო პოლიტიკასთან დამოკიდებულების დროს.
3) განყოფილების მორიგი ამოცანები.
4) მიმდინარე საკითხები.

ყველა ზემო აღნიშნულ ორგანოებს წინადადება ეძლევა 25 ნოემბრისათვის, გამოგზავნონ დელეგატებით, ხსენებულ განყოფილებათა გამგეები, რომელნიც წარმოადგენენ წერილობით მოხსენებას, ამ დარგში თავიანთ მუშაობის შესახებ.

მდივანი ს. ა. კ. კ. ც. კ. ძნელაძე.
შრომისა და განათლების განყოფილების გამგე დევდარიანი.

სახალხო განათლების კომისარიატის შრომის სკოლის განყოფილება

აცხადებს, რომ ახლო მომავალში იხსნება მეცადინეობა ორივე სქესის იმ პირთათვის, რომლებიც წლოვანებით გადაცილებულია სასკოლო ასაკს (9—15 წლამდე). მეცადინეობა იწარმოებს საღამოობით ყოველ დღეს.

ამ სკოლებში შესვლის მსურველებს ვთხოვთ დააჩქარონ განცხადების შემოტანა კომისარიატში ეროვნების, წლოვანების ოჯახური მდგომარეობის და იმის აღნიშვნით თუ ვინ სად სწავლობდა და რომელ ენაზე სურს სწავლა.

პარტიული

— სამშაბათს 15 ნოემბერს საღამოს 6 საათზე მეოთხე რაიკომის შენობაში (ოლღას ქ. № 3) შესდგება მე-4 რაიონის მდივნების თათბირი.

დღიური წესრიგი: 1) პარტია და პროფკავშირები—ამხ. კურულაშვილის მოხსენება, 2) მოხსენებები ადგილებიდან.

შენიშვნა: სხდომაზე ვალდებული არიან მოვიდნენ აგრეთვე კომუჯრედზე მიმაგრებული ამხანაგები.

საბჭოთა

სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ლექტორის ადგილის დასაკავებლათ ფრანგულსა და ინგლისურ ენებში.

განცხადება Curriculum vitae-სთან ერთად უნდა შეტანილ იქნას 1921 წ. 1 დეკემბრამდე ინსტიტუტის რექტორის სახელზე—ინსტიტუტის კანცელარიაში (გრიბოედოვის ქ. № 18). ს. პ. ი. რექტორი: ავალიანი.

ტირაჟი 10,000